



ქალაქისაგან. ნახატი კოტე ქავთარაძისა.

აქ ყვავილი ცისფერთვალა, უცინოდა განამკრთალი,
ის ცისკიდეს გაჰყურებდა, მუდამ სველი ჰქონდა თვალი,
ვერ ალხენდა ვერც ხელმწიფე, ვერც ნარგისთა დედოფალი—
ყვავილს ცრემლით უპასუხოს!—ესე ჰქონდა სამართალი!

სული მისი ვით მერანი, უხილავის მთებში ჰქროდა,
უკადო და უსაზღვროსკენ, ელვასავით ისწრაფოდა...

ქალწულებრივ ქვეყანაში: იქით მხარეს, იქით კიდეს,
ის ან საფლავს დაეძებდა, ან გვირგვინებს, ან სიმშვიდეს...

უნაპირო ქვეყნის ცეცხლი, მას ათბობდა, მასვე სწავდა,
იქაური სურნელება, მასთან კრთომით მოფრინავდა...

თვალწინ ედგა მისი სახე, ვინ მიჯნურად გულში ჰყავდა,
მისკენ მუდამ მიიღებოდა, მისთვის მუდამ ლოცვას სთხოვდა...—
ნეტამც ღმერთი შეჰხვედროდა, მასთანც ბრძოლას გამართავდა!..

გ. ლეონიძე.

მეზველულ კალწულს

ალიონი თეთრი ფრთებით ცის ლოყებზე ნიავს არხევს,
დილის მორცხვი პატარადალი პირველ სხივებს უმღერს, ალხენს...
განთიადის თეთრ კალთებზე თოთო სხივი ჰკოცნის ტოლებს,
თეთრი ნამი ვარდის ტუჩებს გრძობებს ასმევს დამათობებს...
ტყის გულ-მკერდი გაუხსნია, ტოტი ტოტზე ჯვარსა იწერს,
თეთრი გედი თეთრი ბადით ტალღას მისდევს, ტალღას იჭერს...
ტყის ქოჩორში ტყის ქალწული ბროლის თითებს ათამაშებს,
ცის ლეგენდა მზით დამთვრალი ავარჯიშებს ცეცხლის რაშებს...
დილა ლაღობს, ცა კაშკაშებს!..

ცის გადაღმა, შავ უბსკრულში, კავშიანი ნადიმს მართავს,
სევდა მთვარის შესამოსად შავი ფიქრის ძაფებს ართავს...
მთვარეს გული გასტეხია, დაჰკნობია ვერცხლის თმები,
ცა უდაბნოდ გარდაქმნილა, არ ცელქობენ ცის რიამები...
კივ ლოდის ქვეშ, უკუნეთში, ლანდი გმინავს ფერ-წასული,
ქმუნვის ლოცვას იზებირებს ცის სივრცეში აღსასრული...
ცისარტყელას ოქროს ტახტზე გველეშაპი თვლებს და ბოდავს,
შური მთვარის ქანდაკებას ჰვარტლით მურავს, გულს უკოდავს...
მწუხრის ბინდი გულს მილოდავს...

და ეგ სული ფრთა-კაშკაშა, მზის ალერსით შეპყრობილი,
შენი გულის სტრიქონები, ცრემლის ენით მოთხრობილი,
და ეგ ენა, და იგ სახე, ეგ თვალები ანთებული—
შუა-დღის და შუა-ღამის უცნაური თაიგული—
ხან დილაა თვალ-ანკარა, თეთრი ფარჩით ტან-მორთული,
ია-ვარდი თვალ-ფუჟუნა, ცის ბაღნარში ამოსული,
ხან დაქრილი ფიქრებია, ხან ვარსკვლავი ჩვენი ბედის,
ხან სიცილი, ხან ცრემლები, ხან სიმღერა თეთრი გედის!..

ხევდიანი.

ანაქრონის ოღები


მისი სურათი. *)

შენ, ვინც გიციხეს მხატვართ შორის როგორც ზეცით მოვლენილი,
ვსაც თაყვანს როდოსი გცემს, გზა გაქვს ვარდით მოფენილი,
დამიხატე მისი სახე, დამიხატე საყვარელი,
ვინც ამ ჟამად აქ არა მყავს, ვისაც მოწყულულ გულთ ველი.
დამიხატე მზისა დარად, დიდ ღვთებების თანასწორად.
სწორედ ისე, როგორც გითხრა, ცის და ქვეყნის მოსაწონად.
ჯერ გიშერი თმა აიღე, ფერადმა თვით იკალმასოს,
სურნელება შეფრქვეულმა ელვარებით იატლასოს,
დაუშალე დაღალ-კავი, დაუწეწე კულულები,
უხელოვნოდ მიმოჰფანტე, ვით ღრუბელთა ბულულები,
რომ სპილოს ძვლის საფეთქლებზე გადმოეშვას ნისლის ჩრდილი,
ფართო შუბლსა უბურავდეს, ვით ყორნის ფრთა გადმოშლილი.
ეცადე, რომ მის წარბები ერთმანეთს არ დააშორო,
არც თუ ძალზედ გადაჰხლართო, გველთა ხვევნა ააშორო.
მოჰხაზევი მის წამწამთა მოდრეკილი ისართ ჯარი,
გუგის რკალზე გაუქროლე ვარდნარევი ნისლის ქარი,
რომ სანაზე სიამაყეს ალის ფრთებსა მოახვევდეს,
აღტაცება მის ლოყებზე ვარდთა სურნელს მოაფრქვევდეს.
მეგრამ თვალნი, ოჰ, მის თვალნი! ცეცხლის ალვით უნდა ჰქრთოდეს,
ვით მინერვას გულისწყურება ნაპერწკალთა ისრებს სთოვდეს,
სწორედ ისე, ვით შეჰმუნის ელვარება ნიანგის თვალს,
ანუ ერთად გადახვეულს ვენერას და მრისხანე მარსს.
სიმკაცრე თუ აღტაცება ამ კოცონში უნდა ჰფრენდეს,
გულს ჰკოდავდეს, ბედს სწყევლიდეს, წყევლას ლოცვად აავლენდეს
მოკისკისკისე მის ლოყების ფერადების შესაქმნელად
რძე და ვარდი შეაზავე, მათრობელა ცის სურნელად!
მის ტუჩებზე ღამი სცეკვდეს ვით ფერიათ სალამური,
კოცნად ყველას მოუხმობდეს მოხითხითე ყრმა ამური.
ყელყარყარა მისნურ მხერით აჟღაპრებდეს ხეაშიადასა,
კაბა ეცვას ძოწეული, ვით მაისის განთიადსა.
სიკვალუცის მაკრატელით შეუსწორე მზის პორფირი,
და მჭვირვალე მარმას ლეჩაქს შეუხიე ოდნავ პირი,
რომ სიშიშვლის ნაწილაკიც მის მშვენებას ჰღალადებდეს,
მის ღუმლის ნაცვლად მზის ჰანგს ქებათ-ქებად აავლენდეს.
სულ ეს არის! სასყიდელად თუ ვერ მოგცემ ოქროს წონად,
მაშინ თვითვე ეგ სურათი შენ გარდაჰქმნის აპოლონად.
შეასრულებ? ოჰ, მრწამს! აჯერ, ჩემს სახლს იგი კადეც ამკობს,
ვუმზერ, მიმზერს, აღტაცებით უხმოდ გულთან ლაპარაკობს!..

Gandide.

*) ანაქრონის ერთი და იმავე შინაარსით ორი ლექსი აქვს დაწერილი თავის მშვენიერ ბათლოსის შესახებ, სახელდობრ მე-XXVIII და XXIX სიმღერა. ფერადები, ვერსიფიკაცია, თითქმის მთელი ტაქტიკები ერთი მეორისაგან არაფრით განსხვავდება. აი ამიტომ ვარჩიეთ მხოლოდ პირველი გვეთარგმნა, ვიდრე მეორე, „მშვენიერი ბათლოსი“. აქედან ხოლოდ ზოგიერთა ლამაზი ფერადი და ფიგურალი გამოთქმა ამოვიღეთ და შესაფერს ადგილს ჩავურთიეთ. ამ მხრივ ეს თარგმანი გაცილებით უფრო თავისუფალია, ვიდრე დღემდე რომელიმე ჩვენ მიერ გადმოღებული მისი ლექსი.

G—de.



ქამალ ბაგი.

ავტორი „გულნიჰალისა“, ოსმალეთის გამომჩენილი დრამატურგი.



მაჰმედ ბეგ აბაშიძე მთარგმნელი „გულნიჰალისა“.

გულნიჰალ

ვუძღვნი საიუბილეოდ ჩემს მეგობარსა და მასწავლებელს ვალერიან გუნიას. ხუთ მოქმედებიანი დრამა ქემალ ბეგისა. ნათარგმნი ოსმალურიდან მაჰმედ-ბეგ აბაშიძისა.

მოქმედი პირნი:

- ყაფლან-ფაშა — სანჯალის ბეგი.
- მუხთარ-ბეგ — ყაფლან-ფაშის ბიძაშვილი.
- ზეინელ-ბეგ — მუხთარ-ბეგის მეგობარი
- შემსილდინ-ბეგ
- ბეჰრამ-ბეგ
- სინან-ბეგ
- ხეირი-ბეგ
- ყარ-ველი — ყაფლან-ფაშას ჯარისკაცი.
- ზულფიყარ-ალა — მეციხოვნე ჯარის გამგე.
- რიდვანი — საპრობილეო ზედამხედველი.
- ჩაქირი — მესაფლავე.
- შაჯი-ნოსროვ — ერთი მოხუცი.
- რემიდ
- სელიმ
- ჩაფკა
- მესთან
- ფაშა-ხანუმი — ყაფლან-ფაშის დედა.

ისმეთ-ხანუმი — ყაფლან-ფაშისა და მუხთარ-ბეგის ბიძაშვილი, ბიძის ქალი.

გულნიჰალ — ისმეთ-ხანუმის გამზრდელი, გალია.

იადიგარი — მოახლე, გოგო. ერთი მოხუცი, ადგილობრივი ჯამაათი, ერთი ქალი, ორი ბავშვი, ჯალათები და მოახლეები.

მოქმედა პირველი.

ფარდა აიხდება, გამოჩნდება მშვენიერად მოწყობილი ოთახი.

გამოსვლა I.

ისმეთ ხანუმი და გულნიჰალ.

გულნიჰალ — ჩემო გოგუცა! ისევ უნდა გაგიმეორო: მუხთარ-ბეგი თავს უფრთხილდეს, თუ არ მოერიდება, იცოდე, დაგველუბება. ვფიცავ მაცხოვარს, ხელთ გამოგვეცლება, ვფიცავ უფალს, დაგვეკარგება... დაგვეკარგება.

ისმეთ-ხანუმი. — ქალო! ხომ არ გაგიეზულხარ? ჯერ კიდევ გუშინ სასახლეში ქალ-ბატონს სულიერი სიმშვიდე და სიკეთე სახეზე როგორ უკრთოდა, როგორ იღიმებოდა და რა კარგის გუნებით მოგვითხრობდა თავის შვილის ბედნიერ ცხოვრებას,

ვერ ხედავდი? მუხთარი უნდა დალუპონო! მერე იმისთანა ბოროტ საქმის ჩამდნთ სახე ისე მომდინარი ექნებათ?

გულნიჰალი. — დიხ, ექნებათ, ჩემო ქალ-ბატონო! მე მთელი ჩემი ცხოვრების თხუთმეტი წელიწადი იმ სასახლეში დახოცილთა სამარეში გავატარე. ჩემს უბედურს თავში მრავალმა გამოცდილებამ დასტოვა წაუშლელი კვალი! ისინი დაქანებულს მდინარესა ჰგვანან, ჩემო გოგონო! წყნარად რომ გეჩვენოს, გეშინოდეს! ისინი მხეკებს ჰგვანან, ჩემო თვალის სნათლევ! როცა ბაგეს გახსნიან გასაღ-მებლად, მაშინ მოერიდე, ვინც მათ არ დაუახლოვდება მაშინვე წინა კბილებით გულ-ღვიძლს გაუგმირავენ. ესენი გველებსა ჰგვანან, ჩემო კარგო! მათმა ფერადობამ არ გაგიტაცოს. ვისაც კი გაეკარებინან, გესლით სულსქმოუშხამავენ... საბრალო ბავშვო! შენ ფაშა-ხანუმის მომცინარე, მხიარულმა სახემ მოგხიბლა არა? ის ქალი ადამიანის სისხლის სმაშიაც, ადამიანის გულ-ღვიძლის ჭამაშიაც კი გაიცინებს. შენ მათი ნაცნობ-მეგობრების ტყბილი სიტყვებისა გჯერა? იმათ გულ-გონებაში ჯოჯოხეთის ცეცხლ-ც, რომ სდლდეს, სახე მაინც ვარდივით აქვთ გაფურჩქვნილი. სასახლეს მღგომარეობა ბნელი ღამის წყვილიდასა ჰგავს. შენ მთელი კუთხე მისი დაწყნარებული და ყოველი მხარე მისი დამშვიდებული გგონია. რასაც არ უნდა გადაავლო თვალი, მაინც ვერას დაინახავ, რასაც არ უნდა მიჰყურო ყური, მაინც ვერას გაიგონებ. მაგრამ შიგ მკვლევები ბუდობენ! რამდენიც უნდა დააკვირდე მათ, გული-გონება განუხილო, მტრობის-ბოროტების ცხად კვალს მაინც ვერ შეამჩნევ! ამ მტარვალებს, სააქაოს და საიქიოს შორის სასაფლაოსავით ერთი ალაგი დაუქრიათ. გარეგნობით ვარდ-ყვავილებით არის შემკული და შიგნით კი სიკვდილი მიფხობს!

ისმეთ ხანუმი. — გალია, კმარა! გულნიჰალი. — შენ ჯერ დაბადებული არ იყავ, შენი სახლის კაცს აღიბეგს, აგერ, იმ მოედანზე მოჰყვითეს თავი! ჯერაც თვალწინ მიდგას!.. სის-

ხლი სჩქედდა და მალე ჰპერში სახდა. სასახლეში მყოფნი ნები კი დროს ატარებდნენ.

ისმეთ-ხანუმი. — გალია, სსუ! გული შემეწუნდა.

გულნიჰალი. — შენ ჯერ ერთი წლის იყავი. უმცროსი ძმა ყარამინ-ბეგი, ამ საპრობილის წინ ჩამოახრჩეს. არასოდეს არ დამავიწყდება, საბრალო ახალგაზრდა! თოკის გასაწყვეტად ხელები ყელთ მიიტანა და ფრჩხილებით სულ ერთიანად ძარღვები დაიგლიჯა. სასახლის ხალხი კი, თითქოს იგი საქნელით თავს იქცევსო, ტყბილად ნავარდობდა.

ისმეთ-ხანუმი. — გალია, ჩემად! გული შემეწუნდა-მეთქი. ხომ არ გინდა, რომ გადაპროო?

გულნიჰალი. — შენ ჯერ მხოლოდ ძუძუდან იყავ მოშორებული. გუშინ, აქ ჩვენთან მოსული ქალ-ბატონის მამა, ათასის ხრიკებითა და ოინებით ნოიწვიეს ციხის დარბაზში. ფიცი დაუდევს, ხმალზედ*) გადაიარ-გადმოიარეს, ერთმანეთს სისხლი მოულოკეს, დაიმობილეს, სადილად მიიპატიუეს, სასმელები მოახლეებს ჩამოარიგებინეს, მც მათ შორის ვიმყოფებოდი. მაგრამ შემდეგ მაშინვე, ერთი წყვილი ტყვია შუბლში, ერთი წყვილიც გულში მიარტყეს. საბრალო წამებული. დაჭრილ ლომივით ზე წამოვარდა, ხმალს იკრა ხელი, მაგრამ შუაგულ ოთახში უსულოდ დაეცა. ჯერაც მისი აჩრდილი, მაშინდელის სურათით, სასახლის მთელ ოთახში ტრიალებს და სასახლეში მყოფთ კი ისევ თავიანთი ლხინი, ნადამი და ქეიფი არ მოუშლიათ.

ისმეთ-ხანუმი. — გალია, კიდევ უნდა ილაპარაკო? გულს მეყრება!

გულნიჰალი. — ბიძა შენი ამ სასახლის წინ ჩანგლებზე ჩამოჰკიდეს. ყოველი ნაჩანგლევის წყლულისაგან გამომდინარე სისხლი, ტანთსაცმელზედ დაჰწვეთოდა და წარმოსადეგი მისი ტანი აყვავილეულ „ლაილაკის“ ხესა, ხე-ყვავილას, დამსგავსებოდა. და ამ

*) ხმალზე გადასვლა და გადმოსვლა ალბანელებში დიდი ფიცია.



წითელი ჯვრის მეხუთე საავადმყოფოს აღმინისტრატორი მ. ჯავახიშვილი და ქურთების ცნობილი ბელადი ისმაილ-ალა-სიმკო.



ისმაილ-ალა-სიმკო (ხმლით), მისი სამი ძმა, ბიძა და ამალა (უკანა იგურ). წინა რიგში სდგანან უფროსი ექიმი-ქალი მიცოკი, ხოის კონსული კირსანოვი, მის უკან სპარსელი გუბერნატორი ქვცენაშაარისა თეიმურ ალა, იმავე რიგში მ. ჯავახიშვილი, დები სათნოებისა და სხ.

დროს სასხლე კარის კაცების თავის შექცევა, მეჯლისი და მოსხენა ვისმეს რომ ენახა, ზაფხულის მთვარიან ღამეს სასერიანოთ გამოფენილანო ეგონებოდა. რამდენი ბოროტება და ცბიერება ვიცი, რომ ენა ვერ გამოსთქვამს. ასე ჩემო გოგონი! ისინა იცინებენ, ილხინებენ და ასე ამ გვარად კაცსა შესჰამენ, სისხლს შესვამენ.

ისმეთ-ხანუმი.—ჰოი, შე უბედურების მახარობელი ზარნაშო! ბუო! ვიცოდე რომელ უდაბნოდან მოსულხარ, რომელ სასაფლაოდან იძახ! პირი ვაგიშრეს. გაჩუმდი მეტყი, არ გესმის? აზრი მკვდრების აჩრდილით შემიპყარ. თავი ჩემი კუბო მგონია. რა გინდა ჩემგან, მითხარი?

გულნიჰალი.—მშვიდობა, თქვენი სიკოცხლე, ჩემო გოგონა! შენ ჯერ იცი არ მდგომარეობაში ვიმყოფები. ოხ!.. რამდენი წელიწადია რაც დარდებს გულში ვატარებ. ჰხდავ, ჯერ ჩემი სიტყვებია გეშინიან და, აბა, გული რომ გადახანა რა იქნება? მაშინ რაღას იქ? მეც, ჩემს ქვეყანაში შენსავით ერთი თავადის ასული ვიყავი, მეც შენსავით ქონება, დადებდა მოახლე-მოსამსახურეები მე ვდა. მეც შენსავით ერთი თავადის შვილი მიყვარდა. იცა მერე როგორ მიყვარდა? შენც გულში სიყვარული გაქვს, ჩემსას გაიგებ. რომ არ მენახა, სასოწარკვეთილებას მივეცემოდი. გულში... გონებაში... სულში... მხოლოდ ერთად ერთი ბატონი ჩემი ბეგი დამირჩება და.. ოხ! წაწყენდულ იყვნენ.. იმასაც მტრები ჰყავდა... მუხთარ-ბეგის მტრებსავით თავისივე სახლს კაცი იყო. თავის სიკოცხლეში მხოლოდ ერთს ღამეს მოახერხა ჩემთან მოსვლა. სახლსა დამეცნენ, ჩემი ბატონი ბეგი გამომაცალეს... ჩემი თვალების წინ



ასლან ბასილაშვილი.
ჩვენი რედაქციის მოსამსახურე ხოლგირით გარდაიცვალა.



† ზაქარია ბ. სარიონის ძე
სამადალაშვილი
17 წელიწადი იმსახურა რიალურ სასწავლებელში აღმხრდელად

ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს. რამდენჯერაც ზედ მიხვილს დაჰკრავდნენ, იმდენი წყლული ჩემს გულს დაჩნდებოდა... რა უბედური ვყოფილვარ, მაშინ არ მოგვედი და ჩემს ბატონ-ბეგსა საიქიოს ვერ გავყევი. უფალმა განუყრელი ერთი საწოლი შავი მიწის წიაღშიაც არ გვადარსა.

ისმეთ-ხანუმი.—საბრალო ჩემო ვადია.

გულნიჰალი.—თვალები ავახილე თუ არა, თავი ჩემი ხომალდში ვიხილე. ხელ-ფეხ შებოჭვილი ჩემი ბატონ-ბეგის მკვლელებმა თურმე მეც შემიპყრეს. ბოროტებს კბილებით ღრღნა დაფუწყე. არ ვესხამპალე... რამდენადაც არ ვესკვი, ვეცადე, რაზდენჯერაც განთავისუფლებას შეცეცადე იმდენად მცემეს, მთელეს. ერთ ხანათ ჯოხის

ქვეშ სიკვდილი ბედნიერებად ჩავითვალე. ბოლოს წვალებისაგან ძალა გამომელია. გულა წამივიდა. ბოლოს წვალებიდან წვალებაში, ცემიდან ცემაში, უბედურობიდან უბედურობაში ჩავარდნით აი, დღევანდელ მდგომარეობამდე მოვახწიე. მოზელილი ცომი დაღხანს რომ გაჩერდება, ამჟავდება, გულში ნადები მწუხარებაც მტრობად, შურად გადამეჭვა. რაც მეწადა, ავასრულე. გაყდვის მეთხუთმეტე დღესა, სასახლეში ჩემი მტრები ჩემ თვალწინ დავახოცინე, თავები წავაკვეთინე.

ისმეთ-ხანუმი.— ოხ, მტარვალო? ნეტა რა გინდოდა იმ საბრალოთაგან.

გულნიჰალი.—რა მინდოდაო? ჩემო გოგუცი! შენ რომ არ გესმის ვინაა მატყვეველი, ტყვედ რომ ხელში ვყვანდი მაშინ, იქა წვალებაში ვიმ-

ყოფებოდი, რომ შვიდი თვეს განმავალი ლობაში თავის მოსაკვლელი დროს ველ რ ვიბოვე... თუ კაცი ერთხელ დაეჩვი? ყოველივე ჯანგი მისი გულიგონებისა უნდა სისხლით მოიწმინდოს... აჰა, მაგალითი მე. მე რომ ჩემი ტყვედ შეპყრობნი მოვაკვლივინე, მას შემდეგ, ქაჯ' ავით, ადამიანს სისხლისა და ადამიანის ლეშის სუნას გარდა ველარაფრთა ვსტკებები. როკა ყაფლან-ფაშის მამა ბატონობდა, მაშინ სასახლესა და ჰარამხანაში სისხლის დასაღვრელ საქმეებში ჩემხედ უფრო დაახლოვებული, შინაური და სანდო სხვა არავინ იყო. აქ, თქვენთან რომ მოველ, მოველ შენი ბიძის სკვდილის მოსაწყობად.

ისმეთ-ხანუმი.—მამ ბიძა ჩემს სიკვდილის მიზეზი შენ გახდი არ?

გულნიჰალი.—ოხ! ბიძა შენს რომ ჩემი დარჯერებინა, ჩემი რჩევით რომ ევლო, ყაფლან-ფაშის ადგილი ეხლა მას ხელში ექმნებოდა. მე შენი ბიძის სიკვდილის მოწყობაში რომ მონაწილეობა მიმელო, დედა შენი თავის ერთად ერთ პატარა ქალიშვილს მე არ მომანდობდა, მე არ ჩამაბარებდა. ცხონებული მუყაითი და შორს მქვერტელი ქალ-ბატონი იყო. მთელი ჩემი ბუნება და ხასიათი სავსებით ვაიგო. ბატონი ბეგის შემდეგ ქვეყნიერებაზედ თუ ვისმეს შევიღვარებდი არ მეგონა, მაგრამ მერე დედაშენის შეყვარება დავიწყე. სანამ დედაშენის მოახლედ დავრჩებოდი, უმალ, გული ჩემი ხან იბუგებოდა, ხან კი ცეცხლის ბოლმით ივსებოდა და ის აღგზნებული ცეცხლი ჩემი გულისა დედა-შენმა ჩამიქრო და კმუნგან-ნაღველი მან მომისპო. საბრალო უმწეო მანდილოსანი! მე რომ ჩემს ბატონ ბეგს გავისხენებდი, ის მარგალიტებივით ცრემლს



მკივე არტილერია.



აჯრუხის ტიპი. ნახ. ხ.-ბეგ მუსაევისა.

გადმოაფრქვევდა. გონება დაკარგული და სასოწრკვეთილებას მიცემული თავი ჩემი, გამოზამთრებულ ხილნარით განახლების სიციცხლესა გრძობდა. ადამიანისთვის დარდის და მწუხარების მონაწილე დადი ნუგეშია?

ისმეთ-ხანუმი. — ჩემო კეთილშობილო დედავ, საბრალო ჩემო გადია! დედა თუ გარდაიცვალა, მე ცოცხალვარ და შენთვის ვსტირი.

გულნიჰალი. — არა თუ ჩემთვის, არ მსურს შენ სტიროდე. ოღონდ მე გული ნაკუწ-ნაკუწად მექცეს, ოღონდ შენს თვალზე ცრემლი კი არა ვნახო.

ისმეთ! არ იცი როგორ მიყვარხარ? ჯერ მე ჩემ სამშობლოში რომ ვიმყოფებოდი, ყოვლად შემძლებელ ღმერთს ბავშვის შეძენას ვევედრებოდი. ამ ჩემ ტკბილ ნატვრას და იმედებს ჩემი ბატონი ბეგის სიყვარულის გამო გონებისაგან ერთს წამსაც არ მოვიშორებოდი. დედა შენის პირიდან, სიტყვა „ბავშვი“ რომ გავიგონე, იმავე წუთში გული იმედით აღმევსო. ოხ! სიკვდილს ჩემს ბეგისაგან რომ არ გავყარე, მეც ხომ ერთი ბავშვი მიეყოლებოდა. ღმერთმა შენი თავი შეგვძინა. ღვთის ნაბოძარ ბავშვსა დედამ თვისი საშო თუ აკვნად გაუხადა, მეც ჩემს გულმკერდს საქანელად გავუხდი. ჭალბატონმა თუ ძუძუ უნდა მიართვას, მეც სულსა და გულსა მივაწვდ

მეთქი და ის იყო, რომ ვარდის კოკორივით დაიბადე. პირველად ჩემის ლოცვებით გამოფხიზლდი, პირველად მე შემომცინე, მე გამიღიმე. დედაშენს, როცა ამ წყეულ ბოროტებმა საყვარელი ძმა ხელიდგან გამოაცალეს, ჯავრისაგან დასწულელებული თითონაც სოფელს განშორდა. და ეხლა შენც რომ მოკვდე, მერე მთელი ტანჯვა და წვალება ქვეყნის ხომ მე ერთმა უნდა განვიცადო. მეც ჩემი ბეგისა და დედაშენის გამოთხოვების შემდეგ შენით ვცოცხლობ.

ისმეთ-ხანუმი. — იმე, ჩემო გადია! შენ არ უნდა დაგაღონოვო, მეუბნები, და თან გუშინდელს აქეთ შენი პირისაგან სიკვდილის გაყრისა და გამოთხოვების გარდა სხვა არა გამიგონია რა. სიკვდილს ამგვარად ხატავ და ასურათებ, რომ თვით მკვდრებით ამდგარიც ვერ მოგვითხრობს... სიყვარულს ისე ლამაზად სახავ, რომ ჩემს გულს ენა რომ ჰქონოდა, ასე შენებრ ნაღვლიანად ვერ გამოსთქამდა. სული აღმიშფოთე... ეხლა ბატონ-ბეგიც უნდა მოვიდეს, მე ამგვარ მდგომარეობაში რომ დამინახოს რას იტყვის.

გულნიჰალი. — ბეგი უნდა მოვიდესო. ღმერთო შენ გადმოგვხედე. რა მდგომარეობაში ვართ, იმას სიკვდილი შეტყვარებია და სიციცხლის საწინააღმდეგოდ მოქმედობს.

ისმეთ-ხანუმი. — ქალო! მერე მაგრე გულის დამდაგველ სიტყვებს რად ამბობ?

გულნიჰალი. — ოხ! ბავშვო, შენ ჯერ კიდევ ეს სამყარო სასერირო სათამაშო და დროს გასართობი ადგილი გგონია. სიყვარულს შენი გული შეურყევეა და თვალები ბურუსით მოუტყვია. მუხთარ-ბეგი სწორედ ლომკაცია, მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ მეტოქე მისი დიდი გველია. ის მაზედ ისე ამაყად მიდის, რომ თითქოს არაფერი. მართალია გველი ლომს ვერ გაუშლავდება, მაგრამ დაშხამავს.

ჩემო გოგონი! სასახლეში მუხთარის სახელი ხშირად იხსენიება. მას „ღარიბთა მამა“ უწოდეს, ღარიბთა მამის წოდება, სასიკვდილოდ გამზადებულს კაცს ეტყვიან! გესმის! შენ როცა სასახლეში მისდინხარ, ყოველთვის იქ მყოფთა სიცილს იწვევს. აქ აშკარადღება მათა ბოროტი განზრახვა... ამას კი მხოლოდ მე ვამჩნევ. ოხ! ვერას გზით სიტყვა ვერ უნდა დაგაჯერო... მუხთარნაც ბიძაშენსავით თავი უნდა დაილუპოს. შენცა, დედაშენსავით ტანჯვა-წვალებაში თავი უნდა დაიკარგო თუ რამ იქმნება, ისევე მე უნდა დამემართოს. ჩემი ბეგის სიყვარული ერთს დიდს ცეცხლის ალად დამირჩა გონებაში, დედაშენის ხსოვნა ჰესიერებაში ვერ მიხდილს ვარდასა დაემსგავსა. ამ

დროს შენ ხარ ჩემი თმის ერთი და გინდა რომ თავი დაილუპო?

ისმეთ-ხანუმი. — ჩემო გადია! ეხლა რაღას მოვახერხებ? ბეგისთვის აქ მობრძანება მე არ ნითხოვია. გფიცავ ქვეყნის მეუფეს, რომ მე არ მომიბაჟნია. „უნდა მოვიდეო“, — შეგვატყობინა. და უარი როგორ უნდა მეტქვა? განა შესაძლებელი იყო და მოსანელებელი მერე ჩემთვის?..

გულნიჰალი. — იმე გოგონი! ერთის ლაის უნახავოდა ვერ მოგიტყვინია და ხელმეორედ მკვდრებით აღდგომისა აღმედე, გამოთხოვებას არ შიშობ!

გამოსვლა II.


იგივენი და იადიგარი.

ისმეთ-ხანუმი. — (იადიგარს) გოგო, რა ამბავია?

იადიგარი. — ბატონი ბეგი მობრძანდება (ისმეთ-ხანუმი დიდის გახარებითა კარებისკენ გაექანება).

გულნიჰალი. — ოხ! საშველი არაა. ბედისწერა უსათუოდ უნდა ასრულდეს. საბრალო. რა სიხარულით ეგებება! ღმერთო ჩემო! შეიწყალე ეს ყოვლად უცოდველი ორი არსება და ამით განახნიე ჩემი წინასწარი შიში.

(შემდეგი იქნება)



დოლუხანოვ. რაკი შენ ჩვენი კეთილდღეობისათვის აღარ იბრძვი, წადი და შენი ვალი ბრძოლის ველზე მოიხადე.

ა. ყანჩელი. სარქის-ჯან! გულში გამკრა!
ს ა რ ქ ი ს ა. სანამ ნარი ცოცხალია, არხეინად იყავ! ავბრუნდეთ! ანანოვის გულის მოგება ჩემს კისერზე იყოს!



ბერძენი. (მთავრობის მოხელეს) გადასახადს მთხოვთ?! განა არ იცით, რომ მე ვენიზელოსის მომხრე ვარ?

?!

იგივე (ვენიზელოსს) გადასახადს მთხოვთ? და განა არ იცით, რომ მე გერმანელებთან შეკავშირებით საბერძნეთის განახლების მომხრე ვარ?